ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3917431

ნომერი: AR1590861

თარიღი : 06.04.2018

გაცემის თარიღი : 18.04.2018

გაცნობის თარიღი : 18.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ნარსია პ/ნ 19001033601
- ზუგდიდი ერევნის ქ. N 34

ორგანიზაცია:

- შპს "საქინვესტი" კოდი: 205175004

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" მითითებულია, რომ სარეკლამო აბრის განთავსება ხდება #1 შენობაზე, ხოლო საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია #19 შენობა. აღნიშნული მოიყვანეთ ურთიერთშესაბამისობაში.
- საკადასტრო გეგმაზე საპროექტო ადგილი ზუსტად არ არის მითითებულია. წარმოდგენილი ფოტომონტაჟით სარეკლამო აბრის განთავსება ხდება შენობის გვერდით მდებარე ყრუ ფასადზე, ხოლო საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია მთავარი ფასადი. აქედან გამომდინარე საკადასტრო გეგმაზე ზუსტად იქნას დატანილი საპროექტო სარეკლამო აბრის ადგილი.
- "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს ველში დამატებით აიტვირთოს ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, რომელზეც დამუშავებულია ფოტომონტაჟი, გაითვალისწინეთ, რომ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟ ერთიდაიგივე რაკურსიდან უნდა იქნას გადაღებული და დამუშავებული (ამჟამად ველში ატვირთული შორი ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათები არ ამოიღოთ ველიდან).
- გაითვალისწინეთ, რომ "სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით). ასევე "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე- 2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. შესაბამისად წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.